ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია

2019-2022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტატეგიის ოთხწლიანი გეგმა მომზადებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული და გენდერული თანასწორობის საქმეთა განყოფილების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, World Vision საქართველოს „სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო განვითარების პროგრამისა“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ახალი პროექტის ,,ზრდა საქართველოში‘‘ მიერ.

1. შესავალი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგზარდობის განვითარების სტრატეგიის" (შემდგომში „სტრატეგია") მიზანია, დაარეგულიროს იმ საკითხთა ფართო სპექტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს" მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის №553 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი" დამტკიცდა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ხედვა აღიარებს, რომ გრძელვადიანი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №349 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წწ.)" დამტკიცდა. სამოქმედო გეგმა მთავარი ინსტრუმენტია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური და მდგრადი განვითარებისთვის. ის მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ და დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ რაიონებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი მომსახურებაც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები და შესაბამისი

მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

2. მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში მდებარეობს და მისი ფართობია 668 კმ². ჩრდილო–დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ზუგდიდი, როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ასევე სამეგრელო ზემო–სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი შედგება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 5 ადმინისტრაციული ერთეულისგან და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30 თემისა და სოფლისგან:

1. ზუგდიდის ადმინისტრაციული ერთეულები

1. ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრის კარის ადმინისტაციული ერთეული
2. ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტაციული ერთეული
3. ქალაქ ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტაციული ერთეული
4. ქალაქ ზუგდიდის ეგრესის ადმინისტაციული ერთეული
5. ქალაქ ზუგდიდის ენგურის ადმინისტაციული ერთეული

6.აბასთუმნის
7.ანაკლიის
8.ახალაბასთუმნის
9.ახალკახათის
10. განმუხურის
11. გრიგოლიშის
12. დარჩელის
13. დავითიანის
14. დიდინეძის
15. დიდინეძის კახათის
16. ერგეტის
17. ზედაეწერის
18. ინგირის
19. კახათის
20. კიროვის
21. კოკის
22. კორცხელის
23. ნარაზენის
24. ნაცატუს
25. ნაწულუკუს
26. ოირემეს
27. ოდიშის
28. ორსანტიის
29. ორულუს
30. ოქტომბრის
31. ოფაჩხაფუს
32. ყულიშკარის
33. რიყის
34. რუხის
35. ტყაიის
36. ურთის
37. უჩაშონას
38. შამადელას
39. ცაიშის
40. ცაცხვის
41. ცვანეს
42. ჭაქვინჯის
43. ჭითაწყარის
44.ჭკადუაშის
45. ხეცერას
46. ხურჩას
47. ჯიხაშკარის
48. ჯუმის
49. შამგონის
50.ბაშის
51. ახალსოფელის
52. ჩხორიის
53. ჩხოუშის

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნითაც.

ორგანოები – მუნიციპალიტეტის ორგანოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებთა განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მექანიზმია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება (მუხლი 19)

3. ახალგაზრდობა

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 105509 ადამიანს, მათ შორის 18860 ახალგაზრდაა (15-29 წლის). ახალგაზრდების წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში 17,87%-ია:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა	სულ 105509	ქალაქი 42998	რაიონი 62511
15-19 წლის ახალგაზრდები	5744	2211	3533
20-24 წლის ახალგაზრდები	6148	2315	3813
25-29 წლის ახალგაზრდები	6968	2803	4165
15-29 წლის ახალგაზრდები	**18860**	**7329**	**11511**

ახალგაზრდების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია და ისინი ახალგაზრდების 52.29%-ს შეადგენენ:

ასაკი	სულ		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
15-19 წლის	5744	2999	2745
20-24 წლის	6148	3183	2965
25-29 წლის	6968	3680	3288
სულ	**18860**	**9862**	**8998**

4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული და გენდერული თანასწორობის საქმეთა განყოფილების, World Vision საქართველოს ,,სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის განვითარების პროგრამის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პარტნიორობის საფუძველზე და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ახალი პროექტის ,,ზრდა საქართველოში“ მიერ. რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდული ორგანიზაციები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულო, სკოლისა და უნივერისტეტის თვითმართველობები და სხვა დაინტერესებული პირები.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;

- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ახალგაზრდების საჭიროებების და სამოქალაქო ჩართულობის კვლევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- ახალგაზრდების წარმომადგენლობითი ორგანოს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს დაფუძნება;
- სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან.

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა ახალგაზრდულ ჭრილში

თანამედროვე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების საკმაოდ დიდი ნაწილი აგრესიულია, გააჩნიათ სხავასხვა სახის დაავადებები, დიდ ნაწილს არ აინტერესებთ სწავლა, მუშაობა, მიდრეკილნი არიან მავნე ჩვევებისკენ. ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება ცხოვრების ყოველდღიურ წესად იქცა, ადამიანის გამეტება სასიკვდილოდ კი ჩვეულებრივ მოვლენად დამკვიდრდა. ფაქტია, ოჯახური ძალადობა, ბულინგი, სუიციდი, სუიციდის მცდელობა, ნარკომანია, სხვადასხვა სახის მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება აშკარად გაზრდილია, რაც საერთო ჯამში ქვეყანაში ქმნის უარყოფით ფონს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია საერთო ჯამში 51 საჯარო და 6 კერძო სკოლა, მათი უმეტესობა მატერიალურად და ინფრასტრუქტურულად მოუწესრიგებელია. ყურადღება გასამახვილებელია თემის სკოლების უმეტეს ნაწილში, სადაც არ არსებობს ცენტრალური გათბობის საშუალება, მოუწესრიგებელია ასევე სველი წერტილიც, ჯერ კიდევ გასაკეთებელია სპორტული მოედნები და რიგი სხვა პრობლემები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გააჩნია ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი და მასთან არსებული პროფესიული სასწავლებელი. ასევე ფუნქიონირებს ორი

პროფესიული კოლეჯიც. სამწუხაროდ სტუდენტების ცხოვრების ძირითადი დროის ნაწილი შემოიფარგლება საუნივერსიტეტო ცხოვრებით და მათ ინტერესს მხოლოდ პირადი განვითარება წარმოადგენს.

ზუგდიდში მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლის, კულტურის სახლების, გალერეების, სკვრებისა და სოციალური კაფეების არსებობის მიუხედავად, ახალგაზრდები კვლევებში ერთ-ერთ პრობლემად აფიქსირებენ მათი შეკრების სივრეცეების სიმცირეს, რაც განპირობებულია სოფლებში თავშეყრის ადგილების არარსებობით. ისინი შეკრების ადგილად მიიჩნევენ კუთხეს, სადაც თავისუფალი დროის ორგანიზებას შეძლებენ, სივრცე, სადაც თავმოყრილი იქნება არამარტო სატრენინგო, არამედ სპორტულ-კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის კუთხეები, მათ შორის ბიბლიოთეკის და სამაგიდო თამაშების სივრცე. ეს ყოველივე საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს თავისუფლად შესძლონ საკუთარი იდეების/პროექტების განხორციელება, საკუთარი თავის რეალიზება და განვითარება, რაც თავისუფალი დროის ეფექტურად ორგანიზებას შეუწყობს ხელს.

ხაზგასასმელია ასევე არასამთავრობო სექტორის როლი ახალგაზრდების განვითარების პროცესში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო სექტორი განსაკუთრებით აქტიურია. მათ, მართლაც, ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების კუთხით. ისინი აქტიურად მუშაობენ მოზარდ თაობასთან, მათი პიროვნული გაძლიერების მიზნით.

5.1. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის ძირითად პრინციპები:

- სამართლიანობა;
- თანასწორობა;
- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა;
- მიუკერძოებლობა;
- დაინტერესებულ პირებთა ინფორმირება;
- ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კოორდინირებულობა;

- ეფექტური კომუნიკაცია და შეთანხმებული ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- უფლებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა.

5. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე, არიან აქტიური მოქალაქეები, ცხოვრობენ ჯანსაღი ცხოვრების წესით და უსაფრთხო გარემოში, აქვთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, იჩენენ შემწყნარებლობას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

6. მისია

სტრატეგიის მისიაა, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, რათა მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და იყვნენ აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

7. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1

ახალგაზრდული საქმიანობა და მათთვის არაფორმალური გზით განათლების მიღება მხარდაჭერილია

ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას.

ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას.

ახალგაზრდული საქმიანობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტია, რომელიც ავსებს ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს (ოჯახი, სამსახური, სკოლა და ა.შ.) და სთავაზობს ახალგაზრდებს ხელშესახებ უპირატესობებს არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით და შესაბამისი მიზნობრივი მიდგომებით. ის ხელს უწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლიანი და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, განუვითარდეთ კომპეტენციები - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გართობა და დასვენება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად დასახელდა. ახალგაზრდები იშვაითად არიან კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები. გართობის შესაძალებლობების გამრავალფეროვნებისათვის ახალგაზრდები ყველაზე ხშირად კინოთეატრის საჭიროებას ასახელებენ, შემდეგ ახალგაზრდული კლუბის და პარკი/ატრაქციონების, განსაკუთრებული მოთხოვნაა ახალგაზრდულ ბანაკებზეც.

კვლევის მიხედვით ტრანსპორტირება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ქალაქში პრობლემატურია. ახალგაზრდების უმეტესობას ძირითადად საღამოს სურთ გართობა, ქალაქთან დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი არ არის. სოფლად მცოხვრები ახალგაზრდების ნაწილი მიიჩნევს, რომ სოფელში თავისუფალ დროს ძირითადად ერთფეროვნად, მეგობრების სახლში, სოფლის „ბირჟაზე“ ან კომპიუტერთან ატარებენ. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ქალაქიდან დაშორება, ტრანსპორტირების პრობლემა და ფინანსური შესაძლებლობების ნაკლებობა თავისუფალი დროის მრავალფეროვნად გატარების შესაძლებლობას ამცირებს.

ამოცანები:

1.1. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი გაძლიერებულია;

1.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარება მხარდაჭერილია შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით;

1.3. ახალგაზრდული საქმიანობისა და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობა პოპულარიზებულია;

1.4. არსებული ბიბლიოთეკების მოდერნიზება, ინფრასტრუქტურის განახლება და ბიბლიოთეკარების გადამზადება უზრუნველყოფილია;

1.5. ახალგაზრდების მობილობა გაზრდილია.

სტრატეგიული მიზანი 2

ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზებისთვის შესაბამისი პირობები შექმნილია

საქართველოში ბევრი ახალგაზრდა მისდევს ცხოვრების არაჯანსაღ წესს, რომელიც მოიცავს: ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბ მოხმარებას, ფსიქოაქტიური ნივთიერებების და მსუბუქი ნარკოტიკების ავადმოხმარებას, აზარტულ თამაშებს, მთვრალ მდგომარეობაში და უსაფრთხოების ღვედების გარეშე ავტომობილის მართვას, არასწორ კვებას და ჭარბწონიანობას. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ახალგაზრდებში იწვევს აბორტებს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებასა და ნაადრევ ქორწინებებს.

მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ახალგაზრდებს შორის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა საერთოდ არ ვარჯიშობს, ხოლო მინიმალური პროცენტია იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც კვირაში ერთხელ ან სეზონურად ვარჯიშობს.

ასევე აქტუალურ მოუგვარებელ პრობლემად რჩება როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც და, რასაკვირველია, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, უპატრონო, მიუსაფარი ძაღლების არსებობა. მსოფლიოში 500 მილონამდე ძაღლია, რომელთა 80% მაწანწალაა. მათი არსებობა საფრთხეს წარმოადგენს როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე თითოეული ჩვენი თანამოქალაქისთვის, რადგან ეს ძაღლები ხშირად არიან ინფექციური დაავადების მატარებლები და გადამტანები. ახალგაზრდების აზრით, დღესდღეობით მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარების მეთოდები არაეფექტური და უმეტესად ბარბაროსულია. მათ ერთ-ერთ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტში მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრის ფუნქციონირების აუცილებლობა დაასახელეს.

ამოცანები:

2.1. ახალგაზრდები ინფორმირებული არიან ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ;

2.2. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარიზებულია;

2.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერება გაზრდილია;

სტრატეგიული მიზანი 3

ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია

ახალგაზრდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა დასაქმებაა. ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდების 25.8% უმუშევარია, რაც ბევრად აღემატება მთლიანად უმუშევრობის დონეს ქვეყანაში (11.8%)[1].

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგად დასაქმება ახალგაზრდებისთვის ყველაზე პრობლემატურ საკითხად გამოიკვეთა. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების თითქმის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ დასაქმება ძალზე მწვავე პრობლემაა, რადგან მათი აზრით მუნიციპალიტეტში მათთვის სასურველი სამსახურის შოვნა შეუძლებელია.

ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებასთან და მეწარმეობის განვითარებასთან.

ამოცანები:

3.1. ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

3.2. ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარება ხელშეწყობილია;

3.3. ახალგაზრდებზე მორგებული სტაჟირების და პრაქტიკის შესაძლებლობები შექმნილია;

3.4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ და სპეციალური დახმარების

[1] ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორი, www.youth.gov.ge

საჭიროების მქონე პირთა ჩართულობა გაზრდილია;

სტრატეგიული მიზანი 4

ახალგაზრდების მონაწილეობა მხარდაჭერილია

ახალგაზრდების მონაწილეობა აღიარებული უფლებაა საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტებით. „ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ განახლებული ევროპული ქარტიის თანახმად: „საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ან კანდიდატურის დაყენება, მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა. მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერას, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის და ღონისძიებებში და აქტივობებში ჩართულობისთვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.“[2] ქარტია ხაზს უსვამს, რომ მონაწილეობა ნიშნავს ზეგავლენისა და პასუხისმგებლობის ქონას გადაწყვეტილებებსა და აქტივობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ახალგაზრდების ცხოვრებაზე ან უბრალოდ მნიშვნელოვანია მათთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბოლო 12 თვის განმავლობაში ძალზე მინიმალური იყო ახალგაზრდების მხრიდან ჩართულობა მუნიციპალურ საქმიანობაში, რომელთა შორისაც უმრავლესობის ჩართულობა იყო მხოლოდ ფორმალური და არ ღებულობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. მინიმალურია ასევე შემთხვევა, როდესაც რომელიმე რესპონდენტმა თვითონ დაგეგმა და განახორციელა რაიმე პროგრამა /ინიციატივა/აქტივობა და თავადვე იყო გადაწყვეტილების მიმღები პირი.

დაბალია ახალგაზრდების აქტიურობა სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მხრივაც. ცოტას თუ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენაში, ძეგლების მოვლა-პატრონობაში; დაბალი მაჩვენებელია

[2] ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია, მიღებულია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ (მე-10 სესია, 2003 წლის 23 მაისი.

მუნიციპალიტეტის მიმართვიანობის კუთხითაც, მათი ინიციატივების მხარდასაჭერად. აღსანიშნავი ფაქტია, შედარებით მაღალი აქტიურობა და ახალგაზრდების მონაწილეობა გარემოს დაცვის საკითხებში.

ამოცანები:

4.1. ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ამაღლებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;

4.2. ახალგაზრდები ჩართული არიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში;

4.3. სამოქალაქო თავდაცვის კომპეტენციები ახალგაზრდებში განვითარებულია;

4.4. მიმდინარე პროცესებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა გაზრდილია;

4.5. მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;

4.6. არასამთავრობო ახალგაზრდულ სექტორთან თანამშრომლობის ხარისხი გაზრდილია;

4.7. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად ფინანსები გამოყოფილია;

4.8. ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება მხარდაჭერილია;

4.9 ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ კვლევები ინსტიტუციონალიზებულია და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკა განვითარებულია;

4.10 ახალგაზრდების შეკრებისა და ურთიერთობების წასახალისებლად საჯარო და თავისუფალი სივრცეები შექმნილია ყველა სოფელში;

4.11 ამაღლებულია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერება.

8. ახალგაზრდული განყოფილების SWOT ანალიზი

განყოფილების ძლიერი მხარეები	განყოფილების სუსტი მხარეები
➢ მუნიციპალიტეტის ორგანოების (მერი და საკრებულო) მხარდაჭერა; ➢ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა; ➢ საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის ჩართულობა; ➢ არასამთავრობო სექტორის მოქნილობა; ➢ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული თვითმართველობის არსებობა; ➢ ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საზოგადოებაში; ➢ არსებული ინფრასტრუქტურა.	➢ მერიის ახალგაზრდულ განყოფილების სამუშაო ოთახში ახალგაზრდული საქმიანობისთვის შესაბამისი პირობების არ ქონა ➢ ფინანსური რესურსების ნაკლებობა; ➢ კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა; ➢ საკმარისი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არქონა; ➢ მუნიციპალიტეტის მუშაობისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატია; ➢ სექტორში ჩართული ინსტიტუციების ინფორმირებულობის ნაკლებობა შესაძლებლობების შესახებ; ➢ ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა/აქტიურობა და ა.შ.
განყოფილების წინაშე არსებული შესაძლებლობები	**განყოფილების წინაშე არსებული საფრთხეები**
➢ ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა; ➢ დონორების დაინტერესება; ➢ სხვა მუნიციპალიტეტებთან საერთო პრიორიტეტების მოძებნა და თანამშრომლობა; ➢ ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და მათი რესურსების მობილიზება; ➢ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პროგრამები (Erasmus+, USAID, ევროპის ახალგაზრდული ფონდი და სხვ.); ➢ ახალგაზრდების პოტენციალი; ➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კოლეჯები, პროფესიული სასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლე და საჯარო ბიბლიოთეკები, როგორც ქალაქში, ასევე სოფელშიც.	➢ კადრების გადინება; ➢ გადაწყვეტილებების მიმღებთა ცვლილება და მხარდაჭერის შესუსტება; ➢ დაფინანსების გაუზრდელობა; ➢ ახალგაზრდების პასიურობა და ნაკლები დაინტერესება; ➢ სტრატეგიის უფუნქციობა და არაქმედუნარობა; ➢ სტრტეგიით განსაზღვრული შედეგების ვერ მიღწევა.

9. სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგის, შეფასებისა და კოორდინაციის მექანიზმები

9.1. ახალგაზრდული თვითმართველობა

2018 წლის მიწურულს დაფუძნდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმართველობა. იგი წარმოადგენს 14-29 წლის ახალგაზრდებისგან არჩეულ სათათბირო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობას.

ახალგაზრდული თვითმმართველობა არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ირჩევა საკუთრივ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ და გამოხატავს მათ ინტერესებს.

ახალგაზრდული თვითმართველობის ფუნქციებია:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და ანალიზი და მათი მიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებამდე;
- ახალგაზრდული სფეროს სიახლეების გავრცელება;
- ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ;
- ახალგაზრდების ჩართვა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დამკვიდრება;
- ახალგაზრდების ჩართვა მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამების დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, რაც მოიცავს ყველა სამსახურისა და დაქვემდებარებული უწყების პროგრამებს, რომლებიც ახალგაზრდებს ეხებათ.

9.2. კოორდინაცია ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ძალისხმევით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია, ასევე, სხვა სექტორის მხარდაჭერაც. სხვა მნიშნველოვანი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სტრატეგიის განოხრციელებას, არიან: საქართველოს მთავრობა და შესაბამისი სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ბიზნესი, მედია და მკვლევარები.

სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

9.3 სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველწლიურად გამოაქვეყნებს საჯარო ანგარიშს სტრატეგიის განხორციელების შესახებ;
- პერიოდულად ჩატარდება კვლევა იმ პროგრესის შეფასების მიზნით, რომელიც სტრატეგიის განხორციელების შედეგად დადგება;
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოწვეული იქნებიან, რომ ყოვეწლიურად მოამზადონ ალტერნატიული ანგარიში სტრატეგიის განხორციელების შესახებ ახალგაზრდული საბჭოს ჩართულობით;
- არსებული შედეგების გათვალისწინებით განხორციელდება სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასება და მასში შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების შეტანა.